

შპს „სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 - ზოგადი ასპექტები

შპს „სერვისი“ დაფუძნდა 2010 წლის 20 იანვარს;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, სანაპიროს ქ., №6, ბ. 20.

ძირითადი საქმიანობა: საკომუნიკაციო, საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები.

მესაკუთრე: ვახტანგ გაჩეჩილაძე, პ/ნ 01007008400 – 100%,

დირექტორი: ვლადიმერ პარფენტევი, პ/ნ 01019068592

შენიშვნა 2 - ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ლარებში.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შემოსავლის აღიარება.

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება სერვისის ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. სერვისის გაწევით მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. კომპანია შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ხელფასები, გასამრჯელოები, ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე.

დირექტორი: ვლადიმერ პარფენტევი

შპს სერვისი
ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2735381	3233641	2885632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	176242	168481	134096
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7826	48576	4833
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	45434	44528	45408
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	71748	102248	86552
ძირითადი საშუალებები	794849	908246	447598
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3831480	4505720	3604119
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12206	9466	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	5533
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9913	6091	18971
საგადასახადო ვალდებულებები	22054	14227	33476
გამომუშავებული შემოსავალი	1428	6609	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	45601	36393	57980
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3783879	4467327	3544139
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3785879	4469327	3546139
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3831480	4505720	3604119
სულ მოკლევადიანი აქტივები	2964883	3495226	3069969
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	45601	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1692355	1896623
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწვიდან	1692355	1896623
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1692355	1896623
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	69279
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1118236	-228298
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-160063	-120537
საპროცენტო შემოსავალი	12513	12588
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-96000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-468827	-293022
სულ საოპერაციო ხარჯები	-1734607	-655990
საოპერაციო მოგება	-42252	1240633
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-641196	-317383
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-683448	923250
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-62
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-683448	923188
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-683448	923188
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4469327	3546139
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3785879	4469327

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20023	636824
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	20023	636824
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-518283	-288815
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3233641	2885632
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2735381	3233641

დირექტორი

ვლადიმერ პარფენტევი